საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/305
24/01/2023

305-21-2-202301241138

შპს „დაგს“
მის: ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პ. იბერის ქ., N 4, კორ. 1, ბ. 64
ელ. ფოსტა: d.bibil@yahoo.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენ მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოდგენილი განცხადება (№6196), რომელიც ეხება ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ გზშ-ის ანგარიშსა და თანდართულ დოკუმენტაციაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის (ზდგ) პროექტის მე-6 თავის ფორმა №2 და ცხრილები 8.1 და 9.1 არ არის შესრულებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №408 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 30 სექტემბრის №483 დადგენილების შესაბამისად.
- გზშ-ის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია სად ხდება ციცხვში არსებული ლითონის ჩამოსხმა/გაციება (მაგ: საჩამოსხმო მანქანაზე, სპეციალურად მოწყობილ ადგილზე/მოედანზე და ა.შ.), შესაბამისად დაზუსტებას საჭიროებს ციცხვში არსებული ლითონის შემდგომი მართვის/ტექნოლოგიური პროცესის დეტალური აღწერა;
- გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილია გენ-გეგმა ხმაურის წყაროების დატანით, თუმცა აღნიშნულ გეგმაზე არ არის დატანილი ტექნოლოგიურ ციკლში მონაწილე ყველა ხმაურის წყარო, გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ხმაურის წყაროს წარმოადგენს გამწოვი სისტემა (90 დბ), ღუმელები (85 დბ) და სხვა დანადგარები (80 დბ), თუმცა გენ-გეგმაზე, როგორც ხმაურის წყარო, დატანილია მხოლოდ ნედლეულის მიმღები ბუნკერები და ნედლეულის ღია საწყობი;
- გზშ-ის ანგარიშში აღნიშნულია, რომ „მიწის ნაკვეთზე, რომლის საკადასტრო კოდი იყო 33.09.43.550, კომპანია გეგმავს ასფალტის საწარმოს მოწყობას, რომელზედაც

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 14 ივნისის #2-897 ბრძანებით გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.“ თუმცა აღნიშნული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება არ არის გაცემული სამინისტროს მიერ, ამასთან ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე გაცემულია ცემენტისა და ფილერის საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება N 2-870; თარიღი: 14.06.2021), შესაბამისად ზემოაღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას;

გთხოვთ, ორი თვის ვადაში უზრუნველყოთ ყველა ზემოაღნიშნული საკითხის/შენიშვნის შესახებ დამატებითი ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენა სააგენტოში. აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით, დაზუსტებული ინფორმაციის/დოკუმენტაციის წარმოდგენამდე სააგენტო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის თაობაზე.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო